ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №8

02 მარტი, 2017 წელი

ქ. ახმეტა

თავმჯდომარეობდა: თ.წითელაური-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: რ.ბაღაკაშვილი, გ.უძილაური
დ.მურთაზაშვილი, გ.ქიტესაშვილი,
მ.ალხანაშვილი, ი.უჯირაული

სხდომა გაიხსნა 11[00] სათზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ თამაზ წითელაურმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ახმეტაში, ჭავჭავაძის ქ. N15-ში მდებარე შენობის პირველი და მეორე სართულის მარჯვენა ფლიგერის უსასყიდლო უზუფრუქტით, ხუთი წლის ვადით ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრისათვის" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-გ.ქიტესაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ზ. ალვანში, კულტურის სახლის შენობაში მდებარე 342.5 კვ.მ საიჯარო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ააიპ სპორტული კლუბი „თუშეთი"-ს ფუნქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-გ.ქიტესაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ს. ჩაჩხრიალაში მდებარე 10629 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით კოოპერატივ „მოდი მნახე"-ს ფუნქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-გ.ქიტესაშვილი/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ჩაჩხრიალის ტერიტორიაზე მდებარე 1215 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45%-ით შემცირების შესახებ;

/მომხსენებელი-მზია ბექაური/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ოჟიოში მდებარე 210 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საბავშვო ბაღის ყოფილი საქვაბის ტერიტორია) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45%-ით შემცირების თაობაზე დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი-მზია ბექაური/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელმა გააცნო პროექტი ბიუროს დამსწრე წევრებს:
ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა აუცილებელ, ღონისძიებად მიიჩნევს მუნიციპალური სოციალური პროგრამის განხორციელებისას ბენეფიციარების და განმცხადებლებისათვის პროგრამით სარგებლობის გამარტივებას.

აღნიშნული სოციალური პროგრამა მიღებულია 2017 წლის 26 იანვარს, რომლის ამოქმედების თარიღადაც მითითებულია ,,გამოქვეყნებისთანავე". 26 დღიანი პერიოდის სამართლებრივ რეჟიმში მოსაქცევად ამოქმედების მუხლში მიეთითა ,,1 იანვრიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა';

სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით დამუშავდა და პუნქტებად ჩამოყალიბდა მე-5 და მე-6 მუხლის სათაურთან თანხვედრაში არსებული დებულება.

დანართ 1-ში და დანართ 2-ში სიტყვა ,,სამამულო ომის ვეტერანები" შეიცვალა სიტყვით ,,მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები";

,,განსაკუთრებული შემთხვევის" მუხლში დაკონკრეტდა აღნიშნული მუხლის გავრცელების წრე;

შშმ პირთათვის და უდედმამო ბავშვებისათვის აღნიშნული პროგრამის მიზნებისათვის ასაკობრივი ზღვარი დაწესდა 18 წლამდე;

პროგრამას დაემატა ახალი 7[1] მუხლი ,,სოციალური დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია"--თითოეული პროგრამით სარგებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალით.

ი.უჯრაულმა დადგენილების პროექტის 7[1] მუხლის განხილვის დროს შემოიტანა შენიშვნა: 7[1] მუხლის 7-ე პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ჩამონათვალში მოთხოვნადი ყოფილიყო, მხოლოდ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, რადგან ახალდაბადებულ ბავშვს პირადობის მოწმობა არ ექნება. მის აზრს ბიუროს სხვა წევრებიც დაეთანხმნენ.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს</u>: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ახმეტაში, ჭავჭავაძის ქ. N15-ში მდებარე შენობის პირველი და მეორე სართულის მარჯვენა ფლიგელის უსასყიდლო უზუფრუქტით, ხუთი წლის ვადით ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრისათვის" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს.

საკითხის ირგვლივ არ ყოფილა შეკითხვები და შენიშვნები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ზ. ალვანში, კულტურის სახლის შენობაში მდებარე 342.5 კვ.მ საიჯარო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ააიპ სპორტული კლუბი „თუშეთი"-ს ფუნქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

გ.ქიტესაშვილმა ბიუროს დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა პროექტის შესახებ: კომისია რეკომენდაციას იძლევა აღნიშნული ფართი ელექტრონული აუქციონის წესით გაიყიდოს. ბიუროს წევრები დაეთანხმნენ. ამასთან აღნიშნეს, რომ განკარგულების პროექტის დასათაურებაში მოხდეს ფართის რაოდენობის ჩასწორება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ს. ჩაჩხრიალაში მდებარე 10629 კვ.მ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, ოჯარის ფორმით კოოპერატივ ,,მოდი მნახე"-ს ფუნქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს.

ბიუროს წევრებმა მოითხოვეს, რომ კოოპერატივის ხელმძღვანელი გამოცხადდეს საკრებულოს სხდომაზე და წარმოადგინოს თავისი პირობები.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ჩაჩხრიალის ტერიტორიაზე მდებარე 1215 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45%-ით შემცირების შესახებ;

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: აღნიშნული პროექტი ვერ გავიდა აუქციონზე მაღალი ფასის გამო და ხელახლა შემოვიდა ფასის შემცირებით.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ოჟიოში მდებარე 210 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საბავშვო ბაღის ყოფილი საქვაბის ტერიტორია) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45%-ით შემცირების თაობაზე დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი ბიუროს წევრებს.
საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12[15] საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: თამაზ წითელაური